ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3706244

ნომერი: AR1550090

თარიღი : 20.10.2017

გაცემის თარიღი : 29.11.2017

გაცნობის თარიღი : 29.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით გურამიშვილის , N86 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კუტალაძე პ/ნ 01019021150
- გურამიშვილის გამზირი ელ. მავალ მშენებელი ქარხნის მოპირდაპირედ

ორგანიზაცია:

- შპს "A.M.D" კოდი: 404894664

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 5 სექტემბრის №2797504 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 ოქტომბერს #AR1550090 განცხადებით მომართეს შპს „A.M.D“-ის დირექტორმა მერაბ კუტალაძემ და დავით ბედოიძემ, რომლებმაც მოითხოვეს სამსახურის 2015 წლის 15 ივნისის №1924017 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 5 სექტემბრის №2797504 ბრძანებით, N01.12.01.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1904 კვ.მ.) საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2), ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) - ში ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმის N42 (11.08.16წ.) და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N1-1623 (31.08.16წ.) ბრძანების გათვალისწინებით კაფის და ბარის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2017 წლის 1 მაისის N3212633 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებაში და მშენებლობის სახეობად დაფიქსირდა რეკონსტრუქცია.

დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შედეგად (ფართობის და საკასდასტრო კოდის უცვლელად) ტერიტორიაზე აღარ ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, განმცხადებლები ითხოვენ აღნიშნულ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებას და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ–1) ამოღებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის № 2797504 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.045 განცხადების ნომერი: 882017859241 მომზადების თარიღი: 05/10/2017 ფართობი: 1904 კვ.მ .)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შესაბამისის განმარტებით.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 15 ივნისის №1924017 და 2017 წლის 1 მაისის N3212633 ბრძანებებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.